ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №87

ქ. თბილისი

24 ნოემბერი 2015 წელი

ერთის მხრივ, **შპს "საქართველოს ლატარიის კომპანია"**, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ლევან ჩიკვაიძის სახით, შემდგომში "შემსყიდველი'' და მეორეს მხრივ, **შპს "კარგო ლოჯისთიქს გრუფ ჯორჯია"**, წარმოდგენილი მისი დირექტორის სულიკო ჩაჩავას სახით, შემდგომში "მიმწოდებელი'' გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების პირობების თანახმად შემსყიდველი ახორციელებს მიმწოდებლისაგან ტვირთის (ლოტოტრონის) გადაზიდვის მომსახურების შესყიდვა. (CPV კოდი: 63110000) შემდგომში „მომსახურება".

1.2. გადაზიდვის მიმართულებაა: ლასარე - სანდრო ეულის 5ა; სანდრო ეულის 5ა - ვაგზლის მოედანი №2, თბილისი.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა 250 (ორასორმოცდაათი) ლარი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების, მათ შორის დღგ-ს ჩათვლით.

2.2. ლასარე - სანდრო ეულის 5ა მიმართულების ღირებულება არის 150 (ასორმოცდაათი) ლარი, ხოლო სანდრო ეულის 5ა - ვაგზლის მოედანი №2 მიმართულების ღირებულებაა 100 (ასი) ლარი.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მხარეთა შორის ანგარიშსწორება წარმოებს ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორების გზით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ „მიმწოდებლის" საბანკო რეკვიზიტებზე.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდგომ, შემსრულებლის მიერ ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან და მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. საქონლის მიღება-ჩაბარება დასტურდება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.

4.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შპს ,,საქართველოს ლატარიის კომპანიის" თანამშრომელი მაია კუჭაშვილი.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. მომსახურების გაწევის ადგილია: ქ. თბილისი.
5.2. მომსახურების გაწევა ხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნისთანავე, არაუგვიანეს 1 (ერთი) დღეში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
6.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
6.3. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს მომსახურება იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში.
6.4. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებათა კეთილსინდისიერი და ჯეროვანი შესრულება;
6.5. თითოეული მხარე პასუხს აგებს მეორე მხარისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანისათვის, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7. დაუძლეველი ძალა

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2015 წლის 15 დეკემბრამდე.

10. სხვა პირობები

10.1. ყველა იმ საკითხის რეგულირების მიზნით, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები სარგებლობენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2. ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.3. წინამდებარე ხელშერკულება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი გადაეცემა „მიმწოდებელს", ხოლო მეორე ეგზემპლარი „შემსყიდველს".

11. მხარეთა რეკვიზიტები:

"შემსყიდველი"
შპს „საქართველოს ლატარიის კომპანია"
მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №34
ს/კ 204568208
ბანკი: სს "ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა GE28LB0113121375356003

გენერალური დირექტორი
ლევან ჩიკვაიძე

"მიმწოდებელი"
შპს "კარგო ლოჯისთიქს გრუფ ჯორჯია"
მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის №20
ს/კ 205040882
ბანკი: სს „კორ სტანდარტ ბანკი"
ბანკის კოდი: KSBGGE22
ა/ GE30KS0000000000410587

დირექტორი
სულხან ბაჩავა